საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 16 ივლისი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/46

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებისა და სასწავლო წლის შეუფერხებლად წარმართვის ღონისძიებების შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის 54-ე მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი წარიმართოს შემდეგი ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად:

ბაკალავრიატი/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
შემოდგომის სემესტრი

– 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი ბაკალავრიატი/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე დაიწყოს 16 სექტემბერს, ორშაბათს და დამთავრდეს 2013 წლის 27 დეკემბერს, პარასკევს;

– დავალიანების დაფარვის ვადა განისაზღვროს მიმდინარე წლის 16 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით;

– შემოდგომის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 02 სექტემბრიდან 13 სექტემბრამდე;

– საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2013 წლის 30 დეკემბრიდან 2014 წლის 07 იანვრამდე;

– მიმდინარე მეცადინეობათა აღდგენა მოხდეს 2014 წლის 08 იანვრიდან 10 იანვრის ჩათვლით;

– შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2014 წლის 11 იანვრიდან 29 იანვრამდე;

– დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 04 თებერვლიდან 08 თებერვლის ჩათვლით.

ბაკალავრიატი/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
გაზაფხულის სემესტრი

– გაზაფხულის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 10 თებერვლიდან 15 თებერვლამდე;

– გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2014 წლის 17 თებერვალს, ორშაბათს და დამთავრდეს 2014 წლის 30 მაისს, პარასკევს;

– მიმდინარე მეცადინეობათა აღდგენა მოხდეს 2014 წლის 02 ივნისიდან 07 ივნისის ჩათვლით;

– გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2014 წლის 09 ივნისიდან 24 ივნისის ჩათვლით;

– დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2014 წლის 25 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით;

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა
შემოდგომის სემესტრი:

– 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დაიწყოს 30 სექტემბერს, ორშაბათს და დამთა-ვრდეს 2014 წლის 18 იანვარს, შაბათს;

– შემოდგომის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 20 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე;

– შემოდგომის სემესტრის აკადემიური რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 26 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე;

– საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2014 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 07 იანვრამდე;

– შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2014 წლის 20 იანვრიდან 08 თებრვლამდე;

– დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 13 თებერვლიდან 19 თებერვლის ჩათვლით.

– შემოდგომის არდედეგები 20 თებერვლიდან 01 მარტის ჩათვლით.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა
გაზაფულის სემესტრი:

– 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფულის სემესტრი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დაიწყოს 03 მარტს, ორშაბათს და დამთა-ვრდეს 2014 წლის 14 ივნისს, პარასკევს;

– გაზაფხულის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 10 თებერვლიდან 03 მარტამდე;

– გაზაფხულის სემესტრის აკადემიური რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 26 თებერვლიდან 03 მარტამდე;

– გაზაფხულის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2014 წლის 16 ივნისიდან 10 ივლისამდე;

– დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 16 ივლისიდან 23 ივლისის ჩათვლით.

– გაზაფხულის არდედეგები გამოცხადდეს 24 ივლისიდან 14 სექტრემბრის ჩათვლით.

– კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2014 წლის 30 ივნისიდან 25 ივლისამდე;

– სალექციო-სააუდიტორიო მეცადინეობები დაიწყოს 10.00 საათზე;

– ფაკულტეტებთან შეთანხმებით მეცადინეობები, შეიძლება ჩატარდეს ორ ცვლაში, ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა და დაიწყოს დილის 10.00 საათზე;

– ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით დასაშვებია შაბათ-კვირას სალექციო-სააუდიტორიო და ინდივიდუალური მეცადინეობების ჩატარება;

– აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობებს შორის შუალედი - 10 წუთით.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**